ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით!

წითელი მეომარი

1923
აგვისტო
18
შაბათი
შესან. მოვლენათა დღიური
მზე ამ. 4 ს. 28 წ.
მზე ჩ. 7 ს. 20 წ.

წელიწადი მესამე.

რედაქციის მისამართი
ტფილისი სასახლის ქ. № 5
(ცენტ. წითელ-არმიელთა კლუბი)
რედაქცია ღიაა ყოველდღე გარდა კვირა უქმე დღეებისა 9—2 საათ.

ხელის მოწერის თვიური ფასი 1 მილ. მან.
დასაბეჭდათ გამოგზავნილი წერილები უნდა იყოს დაწერილი ცალ გვერდზე, სუფთად და მელნით ავტორის ხელის მოწერით. დაუბეჭდავ წერილებს რედაქცია არ ინახავს.

№ 343 ქართული მსროლელი დივიზიის პოლიტ-განყოფილების ყოველ დღიური გაზეთი. ფასი 50.000 მანეთი. № 343

ანტიინგლისური დემონსტრაციების გამო სპარსეთში.

დიდი ხანი არ არის მას შემდეგ, რაც განახლდა სავაჭრო ურთიერთობა და ეკონომიური კავშირი საბჭოთა რესპუბლიკებსა და სპარსეთს შორის.

ძველი, დახავსებული ფეოდალურ-მთავრობის დამხობით და პროგ[illegible] ბურჟუაზიული წრეების [illegible]ავეში მოქცევით კვლავ აღდგა [illegible] იქმნა კავშირი სპარსეთსა და საბჭოთა რუსეთს შორის.

ორივე სახელმწიფოს მშრომელი [illegible]ხის საკეთილდღეოთ სულ მცირე ხნის განმავლობაში ეს განახლებული დამოკიდებულება დღითი დღე მჭიდრო ხასიათს ღებულობს და სპარსეთის მშრომელი მასსა დიდის [illegible] პატივისცემით შეჰყურებს საბჭოთა ხელისუფლებას.

ეს ასე უნდა მომხდარიყო, რადგან საბჭოთა რუსეთის მიზანს სავაჭრო-ეკონომიური ურთიერთობის აღდგენით სპარსეთთან, შეადგენდა ორივე ქვეყნების ეკონომიური ცხოვრების გაფურჩქვნა და აყვავება, და არა სპარსეთის დამონავება და თავის ახალ შენად გადაქცევა.

სპარსეთის მოსახლეობის ფართო მასსამ სინამდვილეში დარწმუნდა [illegible] საბჭოთა მთავრობის მშვიდობიან[illegible] პოლიტიკაში და ამიტომაც [illegible]ის, რომ გაჭირვების დროს, რო[illegible]საც ევროპის იმპერიალისტები [illegible]ავის მტაცებლურ კლანჭებს მაგრად ჩასჭიდებენ მას, ის იძულებული [illegible]დება მიმართოს ერთად ერთ [illegible] და კეთილ მეზობელს [illegible]ბლოსი [illegible]ეთს.

ხავო''. ჩვ[illegible] ვგულისხმობთ იმ [illegible]მონსტრაციებს, რომელთაც ადგილი ჰქონდა ამ უკანასკნელ დღეებში სპარსეთში.

სპარსეთის დედა ქალაქში—თეირანში მოხდა გრანდიოზული დემონსტრაციები ინგლისელების ძალადობის წინააღმდეგ.

20 ათასმა დემონსტრატებმა მხურვალეთ მიესალმენ საბჭოთა რუსეთის წარმომადგენელს და გადასცენ მას წერილობითი პროტესტი ინგლისელების ძალადობის შესახებ.

ამ აქტს მეტად დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს, ის მოწმობს იმას, რომ დღითი დღე საბჭოთა ხელისუფლების ავტორიტეტი იზრდება იმპერიალიზმის მიერ დამონავებულ აღმოსავლეთში. როგორც ვიცით ინგლისის იმპერიალიზმის მთავარ სასიცოცხლო ძალას წარმოადგენს მისი ახალშენები აღმოსავლეთში, როგორიც არის ინდოსტანი და სხვ. ამიტომაც ინგლისის მესვეურები ყოველივე ღონისძიებას ხმარობენ, ყოველგვარ საშუალებას მიმართავენ, რათა ხელიდან არ გაუშვან ეს მდიდარი კოლონიები და თავისი ძალაუფლების გასამტკიცებლად უფრო მაგრად უჭერენ მუხრუჭს დამონავებულ ერებს.

ამიტომაც ჩვენთვის ძნელი ასახსნელი არ არის ის მტრული დაჟინებული აღსავსე პოლიტიკა კერზონისა მიმართული საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ.

მაგრამ რაც უნდა ბევრი იხტუნონ მსოფლიო მძარცველებმა, მათი დღეები უკვე დათვლილია.

მათ წინააღმდეგ ირაზმება არა მარტო თვით მუშური დასავლეთი არამედ დამონავებული აღმოსავლეთიც.

[illegible]ესა

ამ დროს მასი ნაც[illegible] [illegible]ნის მი[illegible] ბაში. მ[illegible] საბჭოთა რესპუბლ. ტერი- ბის ალმ[illegible] საბჭოთა მოწინააღმდეგე ბოდა ჯა[illegible] საბოლოოდ იხრწნებიან. [illegible]ის გამ[illegible]მდეგე დემოკრატიული პა- სმა ის [illegible] ზოგიერთი წევრები რწმუნ- [illegible] არამ[illegible]რა კომუნისტური პარტიის ვის თან[illegible]კური გეზის სისწორეში, გულის პა[illegible]ლოდ აღიარებენ თავის შეც- ლი შ[illegible]და ინანიებენ მას, ზოგნი კი არს. [illegible]ავრესად ბურჟუაზიული პარ- ვაში [illegible] დარწმუნდენ რა, რომ საბ- მშობლ[illegible] ხელისუფლება თანდათან მა[illegible] და მათი წინააღმდეგობა [illegible] უბრალო წყლის ნაყვაა, ფი[illegible]ნ „ჩათრევას ჩაყოლა სჯო[illegible]დი ნიანგის ცრემლებს ღვ- ჩვ[illegible] თავისი შეცდომების შესახებ საავ[illegible]ხადებენ თავის პარტიებს დაშ- ვისტო[illegible]ად. ერთ ასეთ პარტიათაგანს რედის[illegible]ვენის აზერბეიჯანის მუსავატის პარტია რომელმაც თავისი თავი დაშლილად გამოაცხადა გაზ. „კომუნისტი“ მათ შესახებ სწერს.

„ანტისაბჭოთა პარტიების დაშლის და ლიკვიდაციის პროცესი უკანასკნელ დროს ამიერ-კავკასიაშიც ფართო მასშტაბით სწარმოებს. საქართველოში ყველაზე ძლიერი მენშევიკური პარტიის თვითლიკვიდაცია, მიუხედავად მათი არალეგალური ცეკას ჯიუტობისა, ყველასათვის თვალსაჩინო ფაქტია.

ამას წინათ ჩვენ მოვისმინეთ დაშნაკელთა დეკლარაცია, სადაც ისინი უაზრობათ აცხადებენ საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლას. დღეს კი ჩვენ გაზეთში იბეჭდება მუსავატისტური პარტიის დეკლარაცია. ეს პარტია ერთი უძლიერესი პარტია იყო ამიერ-კავკასიაში და რამოდენიმე წლით მას ხელთ ეპყრა მთელი ძალა-უფლება აზერბეიჯანში. საქართველოს მენშევიკები საბჭოთა რუსეთისაგან ჩამოშორების შემდეგ ამ პარტიასთან და დაშნაკელებთან ერთად ფიქრობდენ ამიერ-კავკასიის მართვა-გამგეობას“.

შემდეგ გაზეთი ეხება მუსავატისტების დეკლარაციის ტექსტს და ამბობს.

„საგულისხმოა მათი აღსარება ამიერ-კავკასიაში მტკიცე მშვიდობიანობის შესახებ. სჩანს მოწინააღმდეგებიც ხედავენ საბჭოთა ხელისუფლების მუშაობის ნაყოფიერ შედეგებს, იძულებული არიან ანგარიში გაუწიონ მის აღმშენებლობითი მუშაობას, სიმტკიცეს და გავლენის სიძლიერეს ყველა ერების მშრომელთა მასებში.

ამიერ-კავკასია თანდათან იწმინდება კონტრ-რევოლიუციონერებისაგან. კომპარტიამ და საბჭოთა ხელისუფლებამ შესძლო ამიერ კავკასიის ნაციონალისტურ პარტიების მიერ აწეწილ-დაწეწილ ცხოვრების მოწესრიგება და ხელმძღვანელობა. ამიერ-კავკასიის კონტრ-რევოლიუციის ნიადაგი თანდათან ეცლებოდა და საერთაშორისო იმპერიალისტების ყოფილი სათარეშო ქვეყანა ოქტომბრის რევოლიუციის საიმედო ციხე-სიმაგრეთ გახდა ამას ნათლად ამოწმებს მენშევიკების, მუსავატების, დაშნაკელების და სხვათა დაშლა. რაც არ უნდა იცრუონ საზღვარ-გარეთ ამ პარტიების გაქცეულმა ბელადებმა, მათ მტკიცებას არავითარი გასავალი არ ექნება თვით საბჭოთა რესპუბლიკების მოსისხლე მტრის ევროპის ბურჟუაზიის თვალშიც კი“.

დეპეშები

— გერმანიის რეიხსტაგში მოხდა კენჭის ყრა შტრეზემანის კაბინეტისადმი ნდობის გამოცხადების შესახებ. კაბინეტს ნდობა გამოუცხადა დიდმა უმრავლესობამ.

— გერმანიაში მღელვარება ისევ გრძელდება. ბერლინში პურის ფასმა არ დაიწია.

— ახენში საალყო წესებია გამოცხადებული.

— საქსონიის მწარმოებლები დასთანხმდნენ დააწესონ შრომის ხელფასი მშვიდობიანობის დროის ზომით.

— ვენაში გაიხსნა მუშა ქალთა საერთაშორისო კავშირის კონგრესი.

— დუბლინში დაატუსაღეს ირლანდიის აჯანყებულთა ბელადი დე-ვალერა.

ბულგარეთში სოც.-დემ. ვექილები მოითხოვენ არსებული კანონების წინააღმდეგ მოქმედებისათვის კომუნისტების დასჯას.

— მუსოლინი სცდილობს რუსეთთან სავაჭრო ურთიერთობის მალე გაჩაღებას.

— რუმინიის პრესა დიდი ყურადღებით ეპყრობა რუსეთ რუმინიის მოლაპარაკებას.

გერმანიის ამბები.

გერმანიის კომუნისტური პარტიის პარტიული საბჭო.

გერმანიის კომუნისტური პარტიის პარტიული საბჭოს სხდომაზე, რომელიც შესდგა 5 და 6 აგვისტოს, ირჩეოდა შემდეგი საკითხები: 1) ანგარიში კომინტერნის გაფართოებული პლუნუმისა, 2) საფრანგეთის კომპარტიის მდგომარეობა, 3) გერმანიის პოლიტიკური მდგომარეობა, 4) კომუნისტური პარტიის ამოცანები.

კამათი კომინტერნის გაფართოებული პლენუმის შესახებ.

გაფართოებული პლენუმის შესახებ ბეხტერის მოხსენების გამო კამათი ტრიალებდა უმთავრესად გერმანიის კომპარტიისადმი კომინტერნის აღმასკომის წერილის ირგვლივ, განსაკუთრებით მსჯელობის საგანი იყო მისი კრიტიკა შესახებ გერმანიის კომპარტიის არა საკმარისად გარკვეული ტაქტიკასა, საქსონიის მემარცხენე სოციალ დემოკრატიული მთავრობის მიმართ.

საფრანგეთის კომპარტიის მდგომარეობა.

საფრანგეთის კომპარტიის მდგომარეობის შესახებ მოხსენება გააკეთა პარიზიდან დაბრუნებულმა მეიერმა, რომელმაც დაასურათა საფრანგეთის საერთო ეკონომიური მდგომარეობა და აღნიშნა, რომ გერმანიის კომპარტიის წარმატებითი მოქმედების შეფასების დროს არ უნდა იქნეს მხედველობიდან გაშვებული, რომ საფრანგეთის პროლეტარიატის მდგომარეობა ეკონომიურად ეხლა უმჯობესია ვინემ იყო ომამდის და ომის დროს. ეს ხდის პარტიის წარმატებითი მუშაობას უფრო ნიშანდობლივად, ვინემ გვეჩნება პირველ შეხედვით.

მეიერის მოხსენების დამატებით ტრეინმა აღნიშნა, სიძნელეები, რომელნიც შეიქმნენ საფრანგეთის კომპარტიაში, კრიზისის გამო. რომელსაც ადგილი ჰქონდა ახლო წარსულში.

„გერმანია უკვე ჩაბმულია სამოქალაქო ომში.

ბრანდლერმა თავის მოხსენებაში გერმანიის მდგომარეობის და კომპარტიის ამოცანების შესახებ აღნიშნა გერმანიის პოლიტიკური მდგომარეობის უმაგალითო გამწვავება. „ჩვენ სამოქალაქო ომის წინ კი არ ვდგევართ, ჩვენ უკვე ჩავებით. სამოქალაქო ომში. მომენტის უმთავრესი ამოცანაა პროლეტარიატის და ყველა მშრომელთა ძლიერი კავშირის შექმნა.

მუშათა და გლეხთა მთავრობის შექმნის ლოზუნგი არის საუკეთესო იარაღი ამ ამოცანის შესასრულებლად“. დაუპირდაპირა რა თეზისები ბერლინის ორგანიზაციის თეზისებს, ბრანდლერმა გაილაშქრა დებულების წინააღმდეგ, რომ მუშათა და გლეხთა მთავრობა შეიქმნა გერმანიისათვის უკვე არა საჭირო ეტაპად და რომ უახლოესი მიზანი პარტიისა არის პროლეტარიატის დიქტატურა ბრანდლერის აზრით საკითხის ასე დაყენება არის ძლიერ საშიში პარტიისათვის და ემუქრება დარჩეს მოწყვეტილი არა პროლეტარულ მშრომელი მასებისაგან.

ამხ. რუტა ფიშერის სიტყვა.

ბრანდლერის მოხსენების გამო ამხ. რუტა ფიშერმა წარმოსთქვა სიტყვა, რომელშიაც აღნიშნა, რომ არაპროლეტარული მასებიც იმედ გაცრუებულნი არიან „დემოკრატიით და შესამჩნევია „ძლიერი კაცის“ დიქტატურის მოთხოვნილება. ფიშერი ამტკიცებდა, რომ სწორედ იშკარა ლოზუნგი პროლეტარიატის დიქტატურისა, ამ მომენტში მასებისათვის ყველაზე უფრო გასაგებია, რომელთაც საჭიროა განემარტოს რომ პროლეტარიატი აჰის „ძლიერი კაცი“ რომელსაც შეუძლია მათი ხსნა. გაუკეთა რა საქსონიის პარტიის ტაქტიკის კრიტიკა, მან აღნიშნა, რომ ამ ტაქტიკამ გააძლიერა მემარცხენე სოციალ დემოკრატები.

ბრძოლა დროებით შეწყდა, მაგრამ არ დასრულებულა.

საქარხნო და საფაბრიკო კომიტეტების დღევანდელი სხდომა მრავალრიცხოვანობის გამო გაყოფილ იქნა სამ კრებათ, კრებებზე მხურვალე კამათი გაიმართა, გაისმოდა ხმები გაფიცვის გაგრძელების სასარგებლოთ. ცენტრალურ საგაფიცვო კომიტეტის და კომუნისტურ პარტიის წარმომადგენელთა გამოსვლის შემდეგ ხმის დიდი უმრავლესობით

43 ეროვნული

მიღებულია რეზოლიუცია გაფიცვის შესახებ, რომელშიაც აღნიშნულია მოძრაობის მიერ მიღწეული გამარჯვება (კუნოს ჩამოგდება) და რომელიც ახალ კოალიციონურ მთავრობას ახასიათებს აგრეთვე როგორც მტრულს მუშების მიმართ. რეზოლიუცია კვლავ აყენებს მოთხოვნილებებს ხელფასის სტაბილიზაციისა მუშებისათვის სურსათის მომარაგებისა, რეალურ ღირებულების ჩამორთმევის დემონსტრაციებზე და მუშათა რაზმების შექმნაზე არსებულ აკრძალვის მოხსნისა და აგრეთვე პოლიტიკური ტუსაღების განთავისუფლების მოთხოვნილებას. ვინაიდან ხელფასის მხრით ზოგიერთ დარგის მუშები დაკმაყოფილებული არიან, დადგენილია—გაფიცვა შეწყდეს, რათა აცილებული იქნეს თავიდან ბრძოლა მოძმე-პროლეტარებთან.

ბრძოლა დროებით შეწყვეტილია, მაგრამ დასრულებული არ არის, მორიგი ამოცანაა—რეფორმისტულ გავლენის მოსპობა, პროფკავშირთა გაწმენდა შემდეგი ბრძოლის საფუძვლიან მომზადებისათვის. ცენტრალურ საგაფიცვო კომიტეტის მოხსენება მთავრობისათვის გაგზავნილ პასუხის შესახებ გაკეთებული იქნება ხვალ სალამოს.

გერმანიის მეზღვაურთა წერილი.

გერმანელი მეზღვაურები, რომლებმაც ინახულეს ოდესაში რუსეთის წყალქვეშა ნავი, თავის წერილში გამოსთქვამენ გაოცებას კომშემადგენლობისა და კომანდის ურთიერთშორის სამაგალითო ამხანაგური დამოკიდებულების გამო და გამოსთქვამენ წითელი ფლოტის აყვავების სურვილს, რომელიც არის ძლიერი დამცველი საერთაშორისო პროლეტარიატისა.

ირლანდიის აჯანყებულთა ბელადის დე-ვალერას დატუსაღება.

დუბლინში მრავალ რიცხოვან მიტინგზე რომელმაც თავი მოუყარა 20.000 კაცს, დატუსაღებულ იქნა ირლანდიის აჯანყებულთა ბელადი დე-ვალერა,, რომელიც ჩავიდა ამხანაგების თანხლებით ლიმერკიდან. მისვლისთანავე დე-ვალერა გავიდა ტრიბუნაზე და დაიწყო სიტყვა. ორი წუთის შემდეგ გაისმა ყვირილი: „ჯარისკაცები მოდიან“. მოულოდნელად გამოჩნდა რაზმი ჯავშნოსანი ავტომობილით. ტრიბუნა გარშემორტყმულ იქნა. ქალები და ბავშვები დამფრთხალნი გარბოდენ. დე-ვალერა ტრიბუნიდან ჩამოვარდა. მას გარს შემოეხვივნენ ტრიბუნაზე მყოფნი. ვინაიდან ჯარისკაცები მიტინგს ემუქრებოდენ ხიშტებით მიტინგი გაიფანტა. დე-ვალერა ათი წუთი იდგა ჯარისკაცთა შორის, რის შემდეგ ის წაიყვანეს. როცა ის ქუჩაში მიჰყავდათ ჯარისკაცებს წრე შემორტყმული ბევრი გაექანენ მისკენ ხელის ჩამოსართმევად, მაგრამ ჯარისკაცები არავის არ უშვებდენ ახლოს. დე ვალერა წაიყვანეს სამხედრო ყაზარმებში.

თავის სიტყვაში მან მოასწრო მხოლოდ განეცხადებია, რომ არ არის დამნაშავე ძმათა სისხლის მღვრელ ომის გამო.

„რომ ერი ყოფილიყო შეკავშირებული, მაშინ ირლანდია მოიპოვებდა თავისუფლებას“ სთქვა მან. ტრიბუნაზე იმყოფებოდენ კოლლამან და დე-ვალერას ვაჟი. მოკლული არავინაა, დაჭრილია 6 კაცი.

მუშათა მოძრაობა

მუშათა ძალების ეშინიათ.

საქსონიის მთელ რიგ ქალაქებში მწარმოებლები დასთანხმდენ დააწესონ შრომის ხელფასი მშვიდობიანობის დროის ზომით. გერმანიის ბურჟუაზია შეშინებული, რომ ეს დადგენილება არ გავრცელდეს დანარჩენ გერმანიაზედაც მოითხოვს საქსონიის მთავრობისაგან საქმეში ჩარევას. ბერლინში ჩავიდა საქსონიის ეკონომიური კავშირის დელეგაცია, რომელიც მიიღო შტრეზემანმა. ცნობების მიხედვით შტრეზმანმა მოისმინა რა საჩივარი, მაშინვე მოიწვია კაბინეტის სხდომა.

მუშა ქალთა საერთაშორისო კავშირის კონგრესი.

გაიხსნა მუშა ქალთა საერთაშორისო კავშირის კონგრესი, რომელშიაც მონაწილეობას ღებულობენ სოციალ-დემოკრატიული და ბურჟუაზიულ-ლიბერალური პარტიების წარმომადგენლები, იმ მხარეებიდან სადაც ქალები შედიან საკუთარ პროფკავშირებში, მამაკაცების პროფკავშირების გარეშე. კონგრესმა მიიღო დადგენილება შეუერთდეს ამსტერდამის პროფკავშირებს გაერთიანებას. ამსტერდამის პროფკავშირების გაერთიანების მდივანმა, რომელიც დაესწრო კონგრესს გამოსთქვა იმედი, რომ მეგობრული განწყობილება ამსტერდამის გაერთიანებისა და საერთაშორისო მუშა ქალთა კავშირის შორის გაგრძელებული იქნება.

ბურჟუაზიულ სახელმწიფოებში.

ბულგარეთი.

კომუნისტების გასამართლება.

კომუნისტების პლევნის პროცესის დროს პროკურორმა თავის საბოლოო სიტყვაში განაცხადა, რომ კომუნისტებს განზრახვა ჰქონდათ ხელში ჩაეგდოთ ძალაუფლება, თუმცა მოწმეთა ჩვენებით კომუნისტები ცდილობდენ დაეცვათ ქალაქი მძარცველებისაგან.

ვექილები—სოციალ-დემოკრატები, რომელნიც გამოდიოდენ მღელვარების დროს დაღუპულთა ოჯახების მხრით, თხოულობდენ საბრალმდებლო განაჩენის გამოტანას იმისათვის, რომ კომუნისტები, რუსეთის საბჭოთა აგენტების სახით იბრძოდენ ბულგარეთში არსებული წესწყობილების წინააღდეგ. დამცველმა საფიროვმა მიუთითა, რომ ბულგარეთის კომუნისტური პარტია იბრძოდა სტამბულინსკის მთავრობის რეაქციონური ზომების წინააღმდეგ და პლევნაში კი კომუნისტები მხოლოდ ცდილობდენ გადაერჩინად ქალაქი ძარცვა-გლეჯისაგან.

სამხრეთ სლავია.

სიმშილობის გამოცხადება.

სამხრეთ-სლავიის კომპარტიის ცეკას წევრებმა, რომლებიც სხედან მიტროვიცკის ციხეში, მათდამი ცუდი მოპყრობის გამო, გამოაცხადეს შიმშილობა.

უნგრეთი.

ბრძოლა საცხოვრებელი მინიმუმისათვის.

უნგრეთის მუშათა უკმაყოფილება, სიძვირის თანდათანობითი ზრდის გამო მატულობს. სხვა და სხვა წარმოებების მუშებმა ჰმართეს პროფკავშირთა საბჭოებს მოთხოვნილებით—იბრძოლოს საინდექსო სისტემისა და საცხოვრებელი მინიმუმისათვის. საბჭო ამ დღეებში იწვევს ყველა დარგის მუშების კონფერენციას.

ბელგია.

„წითელი დღესასწაული“

ბელგიის კომუნისტების მიერ გურენტში მოწყობილ „წითელ დღესასწაულში“ მონაწილეობას იღებდა რამდენიმე ათასი კაცი. სიტყვებით გამოვიდენ პროფინტერნის დელეგატი მანგერ, საფრანგეთის კომუნისტების წარმომადგენელი კურგიუ და ბელგიელი კომუნისტი ჟაკმო.

ნორვეგია.

გაფიცვების ტალღა.

3 აგვისტოს გამოცხადდა ქაღალდის მრეწველობის მუშათა გაფიცვა, რომელშიაც მონაწილეობას ღებულობს 12 ათასი კაცი. შაბათს იწყება სამთო-მადნო მრეწველობის 3000 მუშის გაფიცვა.

დანციგი.

საყოველთაო გაფიცვა დანციგში, პოლონეთის ტელეგრაფის სააგენტოს ცნობით დამთავრდა. სამუშაო ხელფასი აღდგენილი[illegible] ვალიუტის მიხედვით. „ფოკსშტიმე“ იტყობინება რომ უმაღლესი კომისარი გაფიცვის განახლების შემთხვევაში იმუქრება პოლონეთის ჯარების გამოწვევით.

გაფიცვები გრძელდება.

საგაფიცვო მოძრაობა ბერლინში ჯერ კიდევ არ დამთავრებულა, თუმცა მიდრეკილება გაფიცვისაკენ შესუსტდა. ტრამვაის მოძრაობა განახლდა. კვირას და ორშაბათს დაპატიმრებულთა რიცხვი 100 აღწევს.

ჰამბურგში გამოცხადებულია საალყო წესები. წესრიგი აღდგენილია. ტრამვაის მიმოსვლა განახლდა.

ცელლეში (ტიურინგია) მემაღაროებმა მოახდინეს საბჭოთა რესპუბლიკის გამოცხადების ცდა. საქმეში პოლიცია ჩაერია. შედეგათ—მოკლულია 9, დაჭრილია 30 კაცი. ს[illegible]ფტენბერგში გაფიცულია მემაღაროები.

ლეიპციგში გაფიცული არიან ტრამვაისა და ყველა ელექტროტეხნიკის მუშები.

ვეიმარში თითქმის საყოველთაო გაფიცვაა,

„დეიჩერ ლოკალ-ანცეიგერ“-ის გამომცემელმა დაითხოვა მოსამსახურეთა მთელი პერსონალი მუშაობის დაწყებაზე უარის განცხადებისათვის.

დანციგში გემთა სააღმშენებლო სახელოსნოების მუშებმა განაახლეს მუშაობა მას შემდეგ: როცა მათ უზრუნველ უყვეს 4.000.000 მარკის ყოველდღიური ხელფასი.

ბერლინის თვითმართველობა ლოკაუტით იმუქრება.

ბერლინის მუნიციპალურ მუშათა ერთი ნაწილის მიერ გამოცხადებულ გაფიცვის გამო, ქალაქის თვითმართველობამ წინადადება მისცა გაფიცულებს დაუყოვნებლივ შესწყვიტონ გაფიცვა—წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი დათხოვნილი იქნებიან.

სამხედრო ტანვარჯიში ძველად.

ქართულმა დივიზიამ ოლიმპიადაზე შეჯიბრების დროს მე-5 ადგილი დაიჭირა.

უნდა ითქვას რომ ქართულ ჯარში სპორტის საქმე მეტის მეტ ცუდათ არის დაყენებული.

რუსის ჯარის ნაწილები არავითარ ღონეს არ იშურებენ რომ ნაწილში კარგად მოაწყონ ჯომარდობის საქმე, ამისათვის მათთან შეიქმნა კადრი პროფესიონალ მოვარჯიშეებისა, რომელთაც გარდა ვარჯიშობისა არავითარი საქმე არა აქვთ (ე. ი. თვით ვარჯიშობენ მომავალი ოლიმპიადისათვის) ქართულ ნაწილებში კი ისეთი პირობები არ არის შექმნილი, რომ მოვარჯიშეს შეეძლოს მხოლოდ ამ წყაროთი ცხოვრება.

ამისათვის ინსტრუქტორებად მეტის-მეტად თავგადადებული კაცი თუ მიდის ხოლმე. ეს, თუ გვინდა, რომ ყოველთვის სირცხვილი არ ვჭამოთ, უნდა გასწორებულ იქნას. ჯარის გარეშე მეტად ბევრი გვყავს სახელგანთქმულნი მოვარჯიშეები, ისეთნი რომელთაც არა აქაურებთან არამედ მსოფლიო მოვარჯიშეებთან შეუძლიათ შეჯიბრი, უნდა დავაინტერესოთ, რომ შეძლება ჰქონდეთ ყოველ ნაწილთან შეადგინონ მცირე ჯგუფი, კადრი, ასეთი მოვარჯიშეებისა.

მასალა კი ამისათვის აუარებელია.

მეორე ოლიმპიადამ მეტად არა სასიამოვნო შთაბეჭდილება დასტოვა ქართველ მოვარჯიშეებზე. ისინი გრძნობდნენ, საჭირო იყო ვარჯიშობის უკეთეს ნიადაგზე დაყენება, რომ ოლიმპიადის შედეგი სულ სხვანაირი იქნებოდა.

ამ გარემოებამ ქართველ პროფესიონალურ მოვარჯიშეებს სურვილი აღუძრა შევიდენ ჩვენს ჯარში და მესვეურთა საქმეა თუ როგორ გამოიყენებენ ამ სურვილს.

ძველი სამხედრო ტანვარჯიშის თანწყობა.

ძველად ქართულ ჯარში ტანვარჯიში უმთავრესი საშუალება იყო მეომრის მზადებისა. იპოლიტე ტენისა არ იყოს, როგორც ბერძნები, ისევე ქართველები პოლიტიკოსებადა და მეომრებად იყვნენ დაბადებულნი.

ძველი ჩვენი ისტორია მოწმობს ამას და გეოგრაფია ამართლებს ამის მიზეზებს.

სახლში ქართველი მეომარი, პოლიტიკოსობდა და ბრძოლისათვის ემზადებოდა თამაშობით, ასპარეზობითა თუ ჯომარდობა-მუშაითობით. ქართული ჯარი დავით აღმაშენებლამდე არ იყო მუდმივი, ამისათვის მას სხვა მეთოდით სჭირდებოდა აღზრდა. ეს მეთოდი მთლიანად ეყრდნობოდა სამხედრო ტანვარჯიშის ხალხში გავრცელებას.

რა იყო ეს სამხედრო ტანვარჯიშის ხელოვნება? ეს გამოიხატებოდა: შვილდოსნობაში, ნადირობაში, ცხენოსნობაში, ბურთაობაში, რბენაში, მწყობრში და ფარიკაობაში.

ყველა ამას საერთო სახელი თამაში ერქვა, რაც ქართულად ზნემამაცობად იხსენიება.

განვიხილოთ თითო თითოდ ეს ჯომარდობის დარგები და აღვნიშნოთ თუ რა მნიშვნელობა ექნებოდა მას ჯარისათვის.

მშვილდოსნობა.

ძველადანვე იყო გავრცელებული ჩვენში, მას ჩვენი წინაპრები სპეციალურად სწავლობდენ.

ბავშვობიდანვე ბევშვს გაუკეთებდნენ მშვილდ ისარს რომლითაც „დიდსა ვერ მოჰკლენ ხელად აქვთ ხოცა ნადირთა მცირეთა“. (შოთა) ეხლაც ხევსურეთში პატარა ბავშვებს თავისი მშვილდი მოუშორებლივ დააქვს, ეს ძველი ჩვეულების ნაშთია.

დიდები კი მშვილდოსნობაში სხვა და სხვა საშუალებით იწაფებოდნენ. პირველი საშუალება იყო „გასაგნა“, რაც ნიშანში შვილდ ისრის სროლასა ჰქვიან. „სავანი“ იგივე სანიშნეა, ძვლის სახელსახით.

ასეთი გასაგნვა მთაშია დარჩენილი.

გარდაცვალებულის საფლავზე სვამენ ნიშანს და იწვევენ საუკეთესო მსროლელებს.

ხალხს სჯერა რომ მარჯვე სროლაზეა დამოკიდებული გარდაცვალებულის სულის წაწყმედა-ცხონება.

მეორე საშუალება მშვილდოსნობისა იყო ყაბახი. ეს თამაში აწერილი აქვს არქანჯელო ლამბერტის რომელიც 16 . . . წლამდე საქართველოში იყო რომის პაპის მიერ გამოგზავნილი.

,,ორ გრძელ კოჭს ერთმანეთზე მიაკრავენ და მის გაწვრილებულ თავზე პაწია, ოთხი თითის დადება, ფიცარს დააკრავენო‘‘. სწერს ლამბერტი, შემდეგ დასდგამენ ზედ თასს და მოიწვევენ ცხენოსნებს. ცხენოსნები ერთი-მეორის შემდეგ მიაჭენებენ ცხენებს ,,ყაბახთან‘‘ (ბოძთან) და შეუჩერებლივ ესვრიან თასს. ვინც თასს მოარტყამს და ძირს გადმოაგდებს, ის იქნება ,,ყაბახის მომხსნელი‘‘.

ეს დარგი თამაშისა მეტად გავრცელებულია ახლა საქართველოში. დაასკვნის არქანჯელო ლამბერტი ვახუშტიც თითქმის ასევე აგვიწერს ყაბახს: ,,ხოლო აღდგომის წესი იყო: პირველ ნათლობისად წირვა და შემდგომად წირვისა მცირეღთა სანოვაგითა ხორციათა აღიხსნიდიან პირთა მეფე და დიდებულნი; შემდგომად გამოვიდის მეფე და ყოველნი წარჩინებულნი და მცირებულნი ასპარეზსა ზედა და დასვიან სამეფო თასი ოქროსი ანუ ვერცხლისა ყაბახსა ზედა და უწყიან სროლა მას თასსა ისარნი მოყმეთა და ჭაბუკთა და რომელი ჩამოაგდის ისრითა მას მისციან თასი იგი‘‘. (ვახუშტი. საქართველოს ისტორია, ბაქრაძისა, 1885 წ.—გვერდი 14).

დ. ჩუბინიშვილის აზრით ყაბახზე ბურთი იდო და არა თასი. ყოველ შემთხვევაში ეს დარგი მოისრისა მეტად დიდს სიმაღლეზე იდგა და არც ერთი დღესასწაული უყაბახოდ არ ჩატარდებოდა. მეცხრამეტე საუკუნის პირველ ნახევარსაც მოესწრო ყაბახი. ყოფილი ალექსანდრეს ბ[illegible] თბილისში საყაბახო იყო.

მოისრობას მხოლოდ ყაბახით[illegible] გასაგვნით არ სწავლობდნენ [illegible] ველები.

(გაგრძელება იქნება).

გ. მერკვილაძე

ჩვენს წითელ ყაზარმაში

ქართული მეთაურთა სკოლა.

ჩვენი კედლის გაზეთი.

„კედლის გაზეთი-სარკეა ჩვენი ცხოვრებისა“, აი საფუძველი, რაზედაც დამყარებულია ჩვენი კედლის გაზეთი „წითელი კურსანტი“, რომელიც გამოდის თვეში ორჯერ...

ჯერ პირველად გაზეთი უფერული,—ცალმხრივი და უშინაარსო იყო. გრძელი მოსაბეზრებელი წერილები სულ ერთ და იმავეზე, რომელსაც ადგენდა სარედაქციო კოლეგია. გაზეთი შეადგენდა სარედაქციო კოლეგიის კუთვნილებას. ის ათანადოდ ვერ აშუქებდა, ვერც საერთო და ვერც ჩვენი შინაცხოვრების საკითხებს. განყოფილება „კურსანტთა შემოქმედება“ ან ცარიელი, ან სავსე იყო უშინაარსო ლექსებით. ხანდისხან კი მთელი გაზეთი ხდებოდა უშინაარსო ლექსთა კრებულათ. თანამშრომლობდენ გაზეთს, როგორც ზემოთ ავღნიშნე, მხოლოდ ორიოდე წევრი სარედაქციო კოლეგიისა.

მაგრამ გადის დრო და გაზეთი თან და თანობით ხდება, სრული ამ სიტყვის მნიშვნელობით, **სკოლის გაზეთად**, მისი ცხოვრების უტყუარ სარკედ. მასში ღებულობენ მონაწილეობას კურსანტების ფართე მასები. სწერენ წერილებს მეთაურებიც, მასწავლებლებიც, თანამშრომლებიც. გაზეთი თან და თან ფართოვდება, თან და თან შინაარსიანდება, ქრება მისი ჰორიზონტიდან უშინაარსო ადგილები, უშინაარსო ლექსები და წერილები. ის თან და თანობით წვდება ჩვენი ცხოვრების სიღრმეში და მის ძირიდან ამოაქვს ნაკლულოვანებები თუ მიღწევები სკოლის ცხოვრებისა.

შინაარსიანი, მდიდარი, ყველასათვის გასაგებ ენით დაწერილი მეთაური წერილი, ჩვენი სკოლის ცხოვრება, კურსანტები სოფლად, ჩვენი შეფობა, სამხედრო საქმე, ჩვენი სწავლება, სკოლის ცალკე ორგანოების მუშაობის დახასიათება, კომიაჩეიკების და კომკავშირის კუთხე, ჩვენი ექიმი, კურსანტთა შემოქმედება, პრესის მიმოხილვა, უკანასკნელი ამბები, კარიკატურები, შინაარსიანი ნახატები, რებუსები, ამოცანები, ჩვენი ფოსტა, აი ამ ჟამად ის განყოფილებები რასაც ითავსებს, შეიძლება ითქვას, თავის შინაარსით მეტად მდიდარი, ჩვენი კედლის გაზეთი.

თუ წინანდელ ნომერს ჩვენი გაზეთისას არავინ კითხულობდა, თუ ის კუთხეში ჩამოკიდებული იყო უყურადღებოთ, თავის უშინაარსიანობის გამო, დღეს მის გარშემო თავისუფალ საათებში ნახავთ მრავალ მკითხველებს; ის ყველას აინტერესებს, ყველა მისი თანამშრომელია, რითაც ის მდიდარია და შინაარსიანი, და ყოველთვის მისი ახალი ნომრის გამოსვლა მეტად დიდ შთაბეჭდილებას სტოვებს სკოლაში.

ტი-შე.

დეზერტირს არც მშობლიურ ჭერ ქვეშ არ აქვს თავშესაფარი.

რამოდენიმე ხნის წინად ჩვენი ნაწილიდან გაიპარა წითელ არმიელი ამხ. ესართია, რომელიც მთელი თვის დეზერტირობის შემდეგ მისულა სახლში მამასთან, მამას მოუთხოვია მისთვის საბუთები სახლში მისვლისას, მაგრამ, ვინაიდან ასეთი არ აღმოჩნდა და მამის წინ გამოტეხილა თავის დეზერტირობაში მამას ეს მიუღია დიდ შეურაცხყოფად, და უტუქსავს შვილი და უთქვამს; ,,შენ მოღალატე გამხდარხარ შენი სამშობლოსი და ჩემს სახლში არ დაგინახავო‘‘. წითელი არმიელი ჩავარდნილა უხერხულ მდგომარეობაში. ამ დროს იქ სოფელში ჩამოსულა მისი ნაცნობი ქ. თბილისის 4 რაიონის მილიციის უფროსი შევბულებაში. მიუმართავს მისთვის დახმარების აღმოსაჩენად, რათა მას შესძლებოდა ჯარში დაბრუნება და შეცდომის გამოსწორება. მილიციის უფროსმა ის წარმოადგინა ჩემთან. წითელი არმიელი ესართია შეუდგა თავის თანამდებობას და მის დანაშაულის პატიების შესახებ იქმნა აღძრული შუამდგომლობა სადაც ჯერ არს.

ვაშა ასეთ ღირსეულ და შეგნებულ მშობლებს.

№ სამხკომი: გ. კობიძე.

ჩვენს ესკადრილიაში.

საავიაციო ესკადრილიაში 10 აგვისტოს 12 საათზე შესდგა კომუჯრედის მორიგი კრება. დღის წესრიგში იყო; საკითხი ოკას ხუთი წლის თავის დღესასწაულისა და სხვა.

უჯრედის კრების დახურვის შემდეგ, იხსნება კრება საერთო ბანაკისა, რომელსაც თავმჯდომარეობს წ. სამხედრო მფრინავი ამხ. ჩერნი, მდივნობს წ. სამხ. მფრინავი ამხ. მანსვეტოვი.

დღის წესრიგში იდგა შემდეგი საკითხი: 1) მოხსენება ეროვნულ საკითხზე, 2) საჰაერო ფლოტის მნიშვნელობა და 3) დახმარება გაზეთ წ. არმიელს. პირველ საკითხზე მოხსენება გააკეთა სამხ. კომისარმა ამხ. რაზმაძემ. მან ნათლად დაუხატა კრებას საკითხი ისტორიული წარსულიდან მაგალითების მოყვანით.

აგრეთვე მან ხ. ზ. გაუსვა წარსულ წლეების საერთო-შორისო მდგომარეობას. მომხსენებელის სიტყვები გაგრძელდა თითქმის ორ ნახევარი საათი. ამ საკითხის შესახებ კრების მიერ იქნა გამოტანილი რეზოლიუცია შემდეგი შინაარსის: მოვისმინეთ რა მოხსენება ამხ. რაზმაძისა საერთაშორისო და ნაციონალურ საკითხის შესახებ, რომელმაც დაგვანახა ყოველი შინაარსი ამ დიდა საკითხისა,

საერთო ბანაკთა კრება ამიერ კავკასიის საჰაერო ფლოტისა უსურვებს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების ბელადებს გამარჯვებას მსოფლიო პროლეტარიატის საკეთილდღეოთ.

საჰაერო ფლოტის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. ხანტოშკომ, რომელმაც გააცნო ისტორია და მნიშვნელობა ჰაერო-ფლოტისა. იქნა გამოტანილი რეზოლიუცია შემდეგი შინაარსის: მოვისმინეთ მოხსენება ამხ. ხანდოშკოს საჰაერო კვირეულის შესახებ, საერთო კრებამ ჩვენი ბანაკისამ დაადგინა: ყოველი წევრი ამ კრებისა გრძნობს რა დიდ მნიშვნელობას ავიაციისას, რათა თავი დაიფაროს საბჭოთა მტრებისაგან, ვალდებული ვართ მივიღოთ აქტიური მონაწილეობა, როგორც შემოწირულებაში, ისე აგიტაციის ხალხში გავრცელებაში.

კრებამ გადადო ორი პროცენტი თავის ჯამაგირისა აგვისტოს თვეში საჰაერო ფლოტის სასარგებლოთ. გაზეთ წ. არმიელის დახმარების შესახებ გამოდის ამხ. რაზმაძე რომელიც აღნიშნავს მიზეზს მისი უსახსრობისა და მოუწოდებს კრებას დახმარებისაკენ. კრებამ გადასწყვიტა: ქართულ ესკადრილიამ—ერთი დღის ჯამაგირი. ადერბეიჯან-სომხეთის ავიაციის მოსამსახურეებმა ერთი პროცენტი თავის ჯამაგირის.

ზაუტოვ.

ჩვენი სკოლა.

გასული თვის ბოლო რიცხვებში სოფ. ჩუმათელეთში, ქართულ შეერთებულ სამხედრო სკოლის ბანაკის კლუბში იქმნა გამართული საღამო. მოწვეულნი იყვნენ როგორც მე-21-ე სკოლის და ადერბეიჯანის სკოლის კურსანტები, ისე ადგილობრივი მცხოვრებნიც. წარმოდგენის დაწყებამდის კურსანტები დასეირნობდნენ ეზოში და მუსაიფობდნენ თავიანთ სკოლების მდგომარეობაზე, სასიამოვნო იყო ის რომ ისინი ერთი მეორისაგან არასფრით არ განირჩეოდენ და სახე უმტკიცებდათ ყველას მათგანს, რომ ისინი ერთნაირი გრძნობით არიან აღსავსენი და მიესწრაფვიან ერთი მიზნისაკენ „მშრომელი ხალხის კეთილდღეობისაკენ“.

სეირნობის შემდეგ დაიწყო წარმოდგენა, დადგმული იქმნა სამი თითო მოქმედებიან პიესა 1) ,,იქითა მხარეს‘‘ რუსულათ. 2) ,,არარ ვააარვად‘‘ თათრულათ. 3) ,,წითელი გენერალი ქართულად. უკრავდა სიმებიანი მუსიკა, ადგილობრივმა მომღერალთა გუნდმა შეასრულა რამოდენიმე ხალხური სიმღერები.

ამ საღამომ დიდი შთაბეჭდილება დასტოვა დამწრეებზე.

კურსანტი ავაქ..ვი-

ცალკე კავკასიის არმიის 5 წ. დღესასწაული

ქართულ მსროლელ დივიზიის სამხედრო კომისარს, ამავე დივიზიის უფროს.

ამხანაგებო, 14 აგვისტოს შესრულდება ხუთი წელი, რაც რუსეთის დიდი რევოლიუციის ქარცეცხლში დაიბადა ამიერ-კავკასიის ცალკე არმია, რომელმაც სამხრეთ რუსეთის მშრომელი მასსები გაანთავისუფლა მონობისაგან და არგუნა მათ ბედნიერება და კეთილ-დღეობა. მან აგრეთვე გაანთავისუფლა ა.-კავკასია რომელიც მუსავატ-დაშნაკ-მენშევიკების მმართველობის დროს გადაიქცა ეროვნულ შუღლის და ბრძოლის ასპარეზად, რამაც ა. კ. მშრომელი ხალხი გაზნიქა წელში და ჩააგდო ჯოჯოხეთურ ტანჯვა-წვალებაში.

ძლევა-მოსილმა ა. კ. არმიამ მრავალი მსხვერპლის გაღების შემდეგ შესძლო ჩამოეგდო ბურჟუაზიული-რეაქციონერი მთავრობა და დაემყარებია ა. კ. მშრომელთა სამეფო.

ა. კ. ცალკე არმია დღეს დღესასწაულობს თავისი არსებობის ხუთი წლის თავს; ქართულ მსროლელ დივიზიას როგორც მის განუყრელ ძმას და დამოუკიდებელ ერთეულს წითელ არმიისას არ შეუძლიან არ იზეიმონ და არ შეუერთოს თავის სიხარული ა. კ. არმიის საერთო სიხარულს.

ა. კ. რკინის-გზელთა პროფ-კავშირის პრეზიდიუმი, ა. კ. რკინის-გზელთა სახელით ულოცავს თქვენი სახით ქართველ წითელ-არმიელებს ამ ზეიმს და უსურვებს მათ აყვავებას და გაძლიერებას მშრომელი ხალხის მტრების დასამარცხებლათ.

გულწრფელი ძმური სალამი ქართულ დივიზიის წევრებს—რევოლიუციის ერთგულ დარაჯებს.

გაუმარჯოს დიდი ოქტომბრის რევოლიუციას.

გაუმარჯოს ა. კ. ძლევა-მოსილ წითელ არმიას და მის განუყრელ ძმას, ქართულ მსროლელ დივიზიას.

ა. კ. რკინის-გზელთა
პროფ-კავშირის პრეზიდიუმი,

ქართულ დივიზიის საარტილერიო ნაწილების წითელ-არმიელთა ადმინისტრატიული—უფროსთა და პოლიტშემადგენლობის საერთო კრებამ მოისმინა რა მოხსენება ცალკე კავკასიის არმიის ხუთი წლის თავის შესახებ, მხურვალე სალამს უძღვნის ძველ წითელ არწივებს—განმათავისუფლებელთ ამიერ-კავკასიის მშრომელთა კლასისა.

აღფრთოვანებული, თქვენი გამარჯვებით, ჩვენ ქართული დივიზიის არტილერისტები, წითელი დროშით ხელში და საერთო ლოზუნგის „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით“—ქვეშ ფიცსა ვსდებთ—ვსჭედოთ მთელი ქვეყნის მუშათა და გლეხთა ბედნიერება.

გაუმარჯოს მსოფლიო რევოლიუციის შტაბს მესამე კომუნისტურ ინტერნაციონალს.

გაუმარჯოს ცალკე კავკ. არმიის ვეტერანებს.

გაუმარჯოს ცალკე კავკასიის არმიას. გაუმარჯოს წითელ არმიის ბელადს ამხ. ტროცკის.

პრეზიდიუმი: მაისურაძე
კაჩეიშვილი
ტაბუკაძე

პატარა ფელეტონი

ბეწვის ხიდი

შტაბის უფროსთან.

— რა იყო, რა ხმაურობა ასტეხეთ სამსონიან? მთელი შტაბი კი ააფორიაქეთ ღრიანცელით?! — შეგვხვდა უკმაყოფილოთ თენგიზი, როცა მე და ბეშტია მასთან დავბრუნდით.

— ეს გოჩმანმა ასტეხა ღრიანცელი და ბლავილი; პორტფელი ხელიდან გაუვარდა და სხვა და სხვა „საკლიაუზო“ დაბლაჯნილი ქაღალდებს რომ დაათრევს, დაჰფანტა,— მომიდო უცნაური შარი ბეშტიამ.

— რა გითხრათ სამსონმა?

— რა და, მოსესთან წადით, ის ყველაფერს მოგიხერხებთ და მოგცემთო...

— აბა, წადით! ჩქარა მოიქეცით, თორემ ნაწილებში დიდხანს მიგელიან...

— ვურაა! ვაშაა! მივდივართ! ვურაა! ვაშაა! ვურაა!—ყვიროდა ბეშტია და მწევდა ქამარზედ, რომ მეც მისსავით აღტაცებაში მივსულიყავი.

ურას ძახილით მოღალულმა ბეშტიამ, წამავლო ხელი და ურმის ნალოსავით გამათრია კაბინეტიდან.

— მოსე, გენაცვა! ჩქარა მოგვეცი საბუთები! არ დაგვიგვიანდეს, თორემ ჩვენ მოლოდინში „ბეწვის ხიდზედ“ გასატარებელ ხალხს არც დღე სძინავთ და არც ღამე და თვალებში ჩხირებს იკეთებენ, რომ არ დაეხუჭოთ.

— მე თქვენთვის არა მცალიან! დასწყევლოს ეშმაკმა! სად მიიმალა? —დაეძებდა რაღაცას მოსე, ხან ერთ ყუთს გამოსწევდა, ხან მეორეს, ხან ქაღალდებს ათვალიერებდა, ხან მაგიდის ქვეშ იხედებოდა, ყდის ქვეშ ეძებდა...

— რას დაეძებ ეგრე გაცხარებული—შეეკითხა სულსწრაფი ბეშტია; მოსემ პასუხი არ ღირსა მას და კვლავ ყუთების დაკეტვა-გაღებაში გაერთო.

— მაინც! იქნება მე და გოჩმანამ გიშველოთ... თორემ მე და გოჩმანა არც ისეთი ხალხნი ვართ, რომ ჩვენთვის ძვირფასი არ იყოს ყოველი დრო და...

— ჰოო! — შეაწყვეტინა მოსემ ბეშტიას.—მე სწორედ დროს ვეძებ. აი, აქ რამდენი საქმე მაქვს გასაკეთებელი!.. ძლივს აუდივარ!—ჯარისათვისაც გული შემტკივა, რომ სახელმძღვანელოები არა აქვთ. მე სურვილი მაქვს, ეს როგორმე მოვაგვარო და დრო კი არა მაქვს ამისათვის.

— აჰმ...—წაიზმუკუნა ბეშტიამ, ჩამოჯდა სავარძელზედ მოსეს მაგიდის წინ, ფეხი ფეხზედ გადასდო და მამალ ინდოურსავით გაიფხვრა.

— მე როდესაც... ჰმ!—გერმანიის არმიის გენერალურ შტაბის ოფიცერი ვიყავი—დაიწყო ბეშტიამ,—დღე და ღამე მოსვენება არა მქონდა... სულ ქეიფში... უკაცრავად,—საქმეში ვიკლავდი ხოლმე თავს... ყველას ეგონა, რომ მარტო სამ საათამდე ვმუშაობდი. ნამდვილად კი სახლში რომ დავბრუნდებოდით ხოლმე, მაშინ ლიუდენდორფი*) თავის პორტფელს მე გამომიგზავნიდა ხოლმე...

---

*) გერმანიის არმიის გენერალურ შტაბის უფროსი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ღამის სამ საათამდე თვალს არა ვხუჭავდი... ღამესა ვტეხდი... თქვენ წარმოიდგინეთ, საშობაოთ—ლიუდენდორფი—საშობაო ბატის მაგიერ—პორტფელს მიგზავნიდა ხოლმე, და ბატის ჭამის დროც კი არა მქონდა... შენც მოსე, რაკი ქართველი ხარ, საშობაო ბურვაკს ნუ შესჭამ, ჩემსავით იმუშავე... და... უეჭველად დროს იპოვნი!..

მე და მოსემ პირი დავაღეთ და გაკვირვებით უსმენდით ბეშტიას მისტიფიკაციას...

— ბეშტი! ველარ მოვითმინე მე,—შენ ვინა ხარ კაცო? თენგიზთან მუშა ხარ! დივიზიის უფროსთან—კორნეტი ხარ! მოსესთან - გერმანელი ოფიცერი!.. მითხარ ვინა ხარ! შე რჯულ შეჩვენებულო?..

— გოჩმან დამშვიდდი! ჯერ შენ სადა ხარ! კიდევ ბევრ რამედ გადავიქცევი!..

— თქვენ საბუთებისათვის საშას მიმართეთ,—მითხრა მოსემ. თქვენ ცხენოსან ლეგიონის უმწყობრო გუნდის მჭედლებათ ჩაირიცხებით ულუფის მისაღებათ.

— ადიო!—გამოვემშვიდობე მე.

— გუტენ ნახტ! გამომემშვიდობა გამჭედლებული ბეშტია.

გოჩმანი.

ახალი ამბები

დახმარება ქართულ შეერთებულ სამხედრო სკოლას.

თანახმად შეერთებული სამხედრო სკოლის შუამდგომლობისა კავკასიის ცალკე არმიის 5 წლის იუბილეიში მონაწილეობის მისაღებად და დღესასწაულის ჩასატარებელ ხარჯებისათვის ქალ. აღმასკომმა მისცა დახმარება 250 მილიონი მან.

ქართული ენის კურსები.

ამ დღეებში რკინის გზის რაიონში გაიხსნა ქართული ენის კურსები, ქართულის არა მცოდნე რკინის გზელებისათვის.

სიმინდის საზღვარ გარეთ გატანა.

საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატმა ნება დართო ოჩემჩირის რაიონულ კოოპერატივებს 10,000 ფუთი სიმინდის და 10,000 ფ. ლობიოს საზღვარ გარეთ გასატანათ.

საჰაერო ფლოტის სასარგებლოთ.

სამხედრო ხე ტყის ქარხნის მუშებმა საჰაერო ფლოტის სასარგებლოდ შეკრიბეს 50 მილ. მანეთი.

ამხ. სემაშკო ტფილისში.

15 აგვისტოს ტფილისში ჩამოვიდა რ. ს. ფ. ს. ჯანმრთელობის სახალხო კომისარი ამხ. სემაშკო.

პროლეტარული პოეტის დემიან ბედნის ჩამოსვლა.

ტფილისში ჩამოვიდა ცნობილი რუსი პროლეტარული პოეტი დემიან ბედნი.

საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის გახსნა.

15 აგვისტოს მოსკოვში გაიხსნა საკავშირო რესპუბლიკების სასოფლო-სამეურნეო გამოფენა.

ბაკურიანში ჩამოთოვა.

როგორც გადმოგვცემენ ბაკურიანში უკვე თოვლი მოსულა. სხვა აგარაკებზედაც ძლიერ ცუდი ამინდებია.

ოზურგეთ-ნატანების რკინის გზა

ოზურგეთ ნატანების რკინის გზის კეთება ამ ახლო მომავალში დასრულდება. მცხოვრებლები დიდის სიხარულით მოელიან საცდელი მატარებლის გასვლის დღეს.

ტფ. აღმასკომის სავალდებულო დადგენილებათა და განკარგულებათა კრებული.

ტფ. ქ. აღმასკომი სცემს რევკომის და აღმასკომის იმ დადგენილებათა კრებულს, რომელნიც დღემდე ძალაში რჩებიან.

ტფ. აღმასკომის ანგარიშების ჟურნალი.

ამ ახლო მომავალში ქ. აღმასკომი დაიწყებს აღმასკომის ანგარიშების ჟურნალის გამოცემას, ჟურნალი გამოვა სამ თვეში ერთხელ.

ყოველთვიური დახმარება ღარიბებს.

სოციალურ უზრუნველყოფის კომისარიატის შუამდგომლობით აღმასკომის მცირე პრეზიდიუმმა დაადგინა ყოველ თვე მიეცეს სოციალურ უზრუნველყოფის კომისარიატს 2069 მან. ჩერვონცებით, ღარიბებისათვის დასარიგებლად.

გადასახადი წყალზე.

14 აგვისტოს ტფილისის აღმასკომში ირჩეოდა წყალზე გადასახადის საკითხი. ხმის უმეტესობით გადაწყდა დარჩეს ერთნაირი გადასახადი. დადგენილ იქმნა აგრეთვე გამომუშავებულ იქნას დებულება ზოგიერთი კატეგორიების (ინვალიდების, უმუშევრების და სხვ.) წყალზე გადასახადებისაგან განთავისუფლების შესახებ.

განათლების კომისარიატის ჟურნალი.

ამ ახლო მომავალში დაიწყებს გამოსვლას განათლების კომისარიატის ჟურნალი სათაურით: „ახალი სკოლისაკენ“ ჟურნალი გამოვა ქართულ და რუსულ ენაზე.

საქონლის მანეთის ფასი.

15 აგვისტოსათვის საქონლის მანეთის კურსი განისაზღვრა 5 მილიონი მანეთით.

სამხედრო საქმე

დევეტის მოქმედება ინგლის ბურების ომში.

მცირე ომის საწარმოებლად თანამედროვე ხანაში საუკეთესო პირობები არსებობენ. არმია საზრდოობს რკინის გზით მოზიდულ სურსათ-სანოვაგით და საომარ მასალით. გზის გაფუჭება და ხიდების აფეთქება დიდ ზარალს მიაყენებს ჯარს ყველა ამ მარაგის თავის დროზედ მიზიდვის შეფერხებით. ომის ასპარეზის ახლო მდებარე საწყობებში მრავლადაა ხოლმე დაგროვილი სასროლი და ასაფეთქებელი მასალა და ყველა ამის აფეთქება შეუსუსტებს მტერს ბრძოლის უნარს. თანამედროვე ასაფეთქებელი მასალის ტეხნიკის განვითარება ხელს უწყობს მცირე ომს და ამას გარდა, მთელ ევროპაში საყოველთაო სამხედრო ბეგრის შემოღება ძალიან აადვილებს სამხედრო ხალ ერთეულების შედგენას, ათასეულიდან დაწყებული და თავისუფალ მსროლელთა სპებით გათავებული. მათ შეუძლიათ დიდი დახმარება გაუწიონ არმიას.

მცირე ომი საუკეთესოთ გაატარა ქრისტიან დევეტმა ინგლის-ბურების ომში, 1900 წელს ივნისის პირველ რიცხვებში. ლორდი რობერტი სამი ფეხოსანი და ერთი ცხენოსან დივიზიით მიიწევდა წინ ბლომფონტეინ—პრეტორიის გზაზედ და ბურებს პრეტორიისაკენ ავიწროვებდა. ორი დივიზია იმყოფებოდა ბლომფონტეინის სამხრეთით, პრეტორიის საეტაპო ხაზზედ, ორი სხვა დივიზია ოპერაციების რაიონს იცავდა აღმოსავლეთიდან და ლორდ მატუენისა და კოლვილის დივიზიები, მფრინავ სპების სახით, იცავდენ ქვეყნის მშვიდობიანობას. ამ გვარად, ოპერაციებისთვის, ომის ასპარეზზედ, ჰმოქმედობდა 30.000 კაცი, მაშინ, როდესაც ამავე დროს 45.000 კაცი იფარავდა ზურგში მიმოსვლას. ქრისტიან დევეტს ჰყავდა 1200 ცხენოსანი 5 საველე ზარბაზნით, და ამ ძალით იგი მოსვენებას არ აძლევდა კოლვილის დივიზიას. როცა ეს დივიზია მიიწევდა ფენტერსბურგიდან ლინლეით ხეილბრონს. 26 მაისს ლინდლეიში კოლვილის დივიზიას უნდა შეერთებოდა პოლკოვნიკ სპრაგეს, 500 კაცისაგან შემდგარი, სპა, მხოლოდ სპრაგემ დივიზიას ვერ მიასწრო ლინდლეიში და იმავე დღის ნაშუადღევს დევეტის მიერ ალყაშემორტყმული აღმოჩნდა. მიუხედავათ ამისა, სპრაგემ, ჰელიოგრაფ—სარკეების და გაგზავნილ შიკრიკების საშუალებით, მოახერხა კავშირის დაჭერა კოლვილის დივიზიასთან და მატუენის მოწინავე ნაწილებთან, რომელთაც იმავე დღეს კრონშტადს მიაღწიეს. იმის და მიუხედავად, რომ მატუენი დიდის სისწრაფით გაემართა სპრეგის გამოსახსნელად, სპრეგი იძულებული იყო დაჰმორჩილებოდა დევეტს. 31 მაისს მეტუენმა, დაიკავა რა ლინდლეი, გაემართა ხეილბორნისაკენ წინ, რათა მიეწოდებია სურსათ-სანოვაგე კოლვილის დივიზიისათვის, ვინაიდან კოლვილი, მოკლებული სანოვაგეს, უმოქმედობაში იმყოფებოდა. 7 ივნისს მატუენმა მიაღწია ხაილბორნს, დაკარგა რა მხოლოთ ერთი სასურსათო რაზმეული, 55 ურმებისაგან და 160 დამფარავ ჯარის კაცისაგან შემდგარი, რომელიც დევეტს ჩაუვარდა ხელში. დევეტი ესხმის მთავარ საეტაპო პუნკტს უშედეგოთ, შემდეგ როდვაალის მთასთან ათასფულს გარშემოერტყა, ინგლისელებს მოუკლა 7 ოფიცერი და 160 ჯ-კაცი ტყვეთ ჩაიგდო ხელში. შემდეგ ბურებმა აფეთქეს, საომარ—მასალებით დატვირთული, რკინის გზის მატარებელი. დევეტი სამი დღის განმავლობაში დათარეშობდა რკინის გზაზედ, აფეთქებდა ანგრევდა და რკინის გზაზე მომუშავე მუშებს ჰფანტავდა. ბლომფონტეინიდან და, უკვე ინგლისელების მიერ დაკავებულ პრეტორიიდან რობერტსმა კრონშტადისაკენ გააგზავნა ჯარი, ნაწილობრივ რკინის გზით, ნაწილობრივ ქვეითად. მატუენიც აგრეთვე გაემართა ხაილბორნიდან რკინის გზისაკენ. დევეტმა დაბოლოს შეამჩნია, რომ იგი ყოველ მხრივ შემორტყმული იყო. ამ დროს მატუენმა მიიღო ყალბი ცნობა კრონშტადის აღების შესახებ, რის გამო მან შეუხვია გვერდზედ, რითაც ისარგებლა დევეტმა და დასავლეთისაკენ წაიყვანა თავისი სპა. ინგლისელები მაშინვე შეუდგენ დანგრეულ რკინის გზის შესწორებას. 14 და 29 ივნისს დევეტის განმეორებითი თავდასხმა რკინის გზაზედ უშედეგოთ დამთავრდა, რადგან ინგლისელებმა გააძლიერეს გზის დამფარავი რაზმები.

ამ გვარ მოქმედებით დევეტმა, იმის გარდა, რომ ინგლისის არმიის მნიშვნელოვანი ნაწილები ზურგში შეაკავა, 27 მაისიდან 7 ივნისამდე ტყვედ ჩაიგდო 1500 კაცი.

ყოველ შემთხვევაში, ლორდი რობერტსიც კარგად მოიქცა, რომ თავი არ შეაკავებია დევეტის თავდასხმებს და პრეტორიისაკენ მიიწევდა.

გ. ბ.

ჭუმბალა

მუსავატელი.

(მღერის „არშინ მალ-ალანის ხმაზე)

მენშევიკი საფლავს ჩაწვა
და დაშნაკიც თან გაჰყვა;
ეს ბედი, ალბად, სამივეს
დაბადებით თან დაგვყვა!
არშინ მალ ალან, მალ-ალან...

მე არ მინდა მარტო ვიყო—
ძვირფასს ძმებთან მსურს ბინა;
უმათოდ აქ მარტო ყოფნით
გულმა ამოიგმინა!
არშინ მალ-ალიან, მალ-ალან...

კენტი დავდივარ ავად
სად არის ჩვენი „ტრიო?!“
ძმებო მიმიღეთ თქვენთანა
არ მსურს კვლავ აქ ვეთრიო!
არშინ მალ-ალან, მალ-ალან...

ვით თქვენ, მეც მომიღო ბოლო
კომუნიზმის ვარსკვლავმა;
ყველგან პანღურ ამოკრული
მიმიღოს მეც საფლავმა!..
არშინ-მალ-ალან, მალ-ალან...

დაშნა.

ცოტა რამ წითელ-არმიელთა ექსკურსიების შესახებ.

ჩვენი ჯარის ცხოვრებაში ექსკურსიებს ამ ბოლო ხანებში სათანადო ყურადღება მიექცა. ამიტომ, საჭიროდ მიმაჩნია მოკლედ მაინც გავეცნოთ „საექსკურსიო მეთოდს“, რომლის გაცნობა ასე თუ ისე მოგვეხმარებოდა. პედაგოგიკაში არის ისეთი შეხედულება, რომ ექსკურსიებს დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ. განსაკუთრებით ბუნების შესასწავლად მას დიდ ფასებელ საშუალებად სთვლიან.

ექსკურსიის მთავარი მიზანია, როგორც გონივრულად ადამიანის ამაღლება, ისე იმისი მომზადება დამოუკიდებელ ცხოვრებისათვის. მაგრამ თუ გვინდა ექსკურსიების მნიშვნელობის გაგება აუცილებლად საჭიროა გავითვალისწინოთ ის მიზნები, რომელიც მას აქვს დასახული.

ექსკურსიებს აქვს მიზნად განმანათლებელი და აღმზრდელობითი ელემენტების შესწავლა. ჩვენს წინაშე ძალაუნებურად წამოიჭრა ასეთი საკითხი: თუ რომელ განმანათლებელ გამოცანის შესრულებას ისახავს ექსკურსიები, როდესაც ჩვენ მათ წარმოებას სისტემატიურ ხასიათს ვაძლევთ? ამის საპასუხოთ შეიძლება დავასახელოთ ის მთავარი ამოცანათა შესრულება, რომელსაც იგი ისახავს. ასეთია შემდეგი:

1) ფართო კონკრეტიზაცია, ყველა იმ ცოდნათა, რომელიც წითელ არმიელებმა წინასწარ მიიღეს სკოლა კლუბებში.

2) ახალი ცოდნით აღჭურვა წითელარმიელთა.

3) ექსკურსიების მიზანს შეიცავს აგრეთვე, რომ მოახდინოს ერთგვარი კონკრეტიზაცია წითელარმიელთა ცოდნისა და შესძინოს მათ ახალი ცოდნა მაქსიმალური თვალსაჩინოების წყალობით.

როგორი უბრალოც არ უნდა იყოს, ექსკურსია არ ნიშნავს უბრალო გასეირნებას, ექსკურსიის შემდეგ წითელარმიელები ყოველთვის დაბრუნდებიან ერთგვარი ცოდნით, რომელსაც ჩვენი წითელი ჯარის ცხოვრებაში ყოველთვის დიდი მნიშვნელობა ექნებოდა.

ჩვენ აღვნიშნეთ რომ ექსკურსიას აქვს აგრეთვე აღმზრდელობითი ხასიათის მნიშვნელობაც. იმას გამოჰყავს ადამიანი ჰაერზე, რომელიც მოითხოვს ადამიანის ფიზიკურ ძალების ამუშავებას და აახლოვებს მას ცხოვრების სინამდვილესთან.

აღმზრდელობითი ხასიათი იმაში გამოიხატება, რომ აჩქარებს მუშაობის ტემპს და ბადებს ისეთ რწმენას, რომ ადამიანი არის დაყრდნობილი თავის საკუთარ ძალაზე.

ექსკურსიების დანიშნულებას შეიცავს აგრეთვე, განავითაროს წითელარმიელებში ინიციატივა ცხოვრების შესწავლისა და დამოუკიდებელ ბუნების გამოცნობას მათ მიერ ხელი შეუწყოს.

იგი გააცნობს აგრეთვე წითელ არმიელებს ადამიანთა ცხოვრების მრავალ ტიპებს. მოგეხსენებათ, რომ ექსკურსიას ახასიათებს ყოველთვის კოლექტიური ცხოვრება, რომელიც ექსკურსანტებს უხდებათ მოგზაურობის დროს. ეს კი განუვითარებს წითელარმიელებს საზოგადოებრივ აღმზრდელობითი მიზნებს. ექსკურსიები ქმნიან აგრეთვე ადამიანში სოლიდარულ სულს და აქტიურ დისციპლინის შექმნას ხელს უწყობენ.

სხვა გამოცანათა გარდა, რომელიც დასახული აქვს ექსკურსიებს უნდა აღვნიშნოთ კიდევ ერთი, რომელსაც „მსახურობითი ხასიათი აქვს. ეს გახლავთ შემდეგი: მოგროვება ყოველგვარი კოლექციებისა, ბუნების შესწავლისა, ფოტოგრაფიული სურათებისა და სხვა...

ექსკურსიებს წინ უნდა უძღოდეს აუცილებლად ახსნა-საუბარი ექსკურსიის ხელმძღვანელის მიერ.

ექსკურსიები შეიძლება იყოს დანიშნული სხვა და სხვა სამეცნიერო მიზნებისათვის. ასეთი მიზნები გახლავთ: ისტორიული ნაშთების გაცნობა, ბუნების გეოლოგიური საკითხების შესწავლა და სხვა.. სასურველი იქნებოდა, რომ წითელარმიელთა ექსკურსიებს თან გაყოლოდა ჯარის ნაწილებიდან მხატვრები, რომლებიც შესანიშნავ ადგილებსა და სურათებს გადაიღებდა. ექსკურსიის გაგრძელება შეიძლება იმის მიხედვით, თუ როგორი გამოცანა აქვს მას დასახული. შეიძლება გაგრძელებულ იქნეს რამოდენიმე საათით, დღეებით და კვირაობით.

(შემდეგი იქნება)

ალ. გორ—ძე.

ნ. დ. ს. ც. ტირაჟი 1200. სამხედრო სტამბა პასუხის-მგებელი რედაქტორი—ლ. ჩანტლაძე.